

## დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხისათვის

სტატია ეძღვნება პროფ. ოთარ გამყრელიძის 90 წლის იუბილეს

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

### I. შესავალი

მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა წინამდებარე სტატიით პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო იუბილარის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, პროფ. ოთარ გამყრელიძის მიმართ, რომელიც ერთ-ერთია ჩემი მასწავლებლებიდან, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მაზიარა იურისპრუდენციას და სისხლის სამართლისადმი ჩამინერგა განსაკუთრებული სიყვარული. პროფ. ოთარ გამყრელიძე იყო გამორჩეული ლექტორი, რომლის ლექციებიც არ იყო მოქცეული მხოლოდ სისხლის სამართლის ჩარჩოებში. მის ლექციებს ორიგინალურს ხდიდა ის, რომ ის პრობლემურ სისხლისსამართლებრივ საკითხებს განიხილავდა არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის, არამედ ლიტერატურული მაგალითების შუქზე და იყენებდა ლიტერატურული დასაბუთების მეთოდს, რაც მის ლექციებს მიმზიდველს ხდიდა და ნათლად მეტყველებდა მასწავლებლის ფართო განსწავლულობაზე. პროფ. გამყრელიძის წერის და აუდიტორიასთან საუბრის მანერა იყო გამორჩეული იმით, რომ მისი ნაწერი თუ ნათქვამი მკითხველისთვის და მსმენელისთვის იყო გასაგები, ვინაიდან მას ახასიათებს სადა ენა, გამართული ქართულით წერა, მსენელთან და თანამოსაუბრესთან უშუალო, გულისხმიერი დამოკიდებულება. თავისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო პუბლიკაციებით მან შექმნა მდიდარი სამყარო, რომელიც ქართველ იურისტებს დიდხანს გაუკვალავს გზას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ ჩვენი გზები გადაიკვეთა თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ ასპირანტურაში ვსწავლობდი და ბატონ ოთართან, რომელიც ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებას ხელმძღვანელობს, მიწვედა ურთიერთობა ჯერ როგორც ამავე ინსტიტუტის ასპირანტს და შემდგომ როგორც ინსტიტუტის თანამშრომელს. ჩემთვის განსაკუთრებულ პატივს წარმოადგენდა ასევე ის, რომ ბატონი ოთარი იყო ჩემი სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი.

იუბილარისადმი მიძღვნილ წინამდებარე წერილში განხილვის საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ლოგიკურია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით საუბარი მაშინ, როცა საქმე ეხება არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას. სტატიაში გაანალიზებულია ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები საკითხთან დაკავშირებით. სტატიაში ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: როცა არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს მოქმედი პირი თავის მიზანს აღწევს, ხოლო (არასასურველი) შედეგის განსახორციელებლად დამატებით ქმედებას არ ახორციელებს, ა) სახეზეა მცდელობა და ასევე სასჯელისაგან გამათავისუფლებელი ნებაყოფლობით ხელის აღება, ბ) ადგილი აქვს

დასჯად მცდელობას დანაშაულზე ხელის აღების გარეშე თუ გ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამორიცხვა უნდა მოხდეს დანაშაულის მცდელობის განუხორციელებლობის გამო.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ერთ-ერთია იმ საკითხთაგან, რომელიც წარმოადგენდა პატივცემული იუბილარის – პროფ. ოთარ გამყრელიძის ინტერესის სფეროს, ვინაიდან ის ავტორია როგორც სამეცნიერო სტატიების და მონოგრაფიების, ისე სსკ-ის კომენტარის, სადაც ასევე განმარტებულია სისხლის სამართლის ნორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით (21-ე მუხ.). მისი ავტორობით გამოცემულ კომენტარში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე არ არის დასმული ის საკითხი, რომელიც სტატიაში განხილვის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამის საფუძველი არის ავტორის შეხედულება დანაშაულის მცდელობის სუბიექტურ მხარეზე, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

## II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული დანაშაულის დროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ერთ-ერთ გარემოებას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება პასუხისმგებლობას გამორიცხავს, თუ განხორციელებული ქმედება არ შეიცავს სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს (სსკ-ის 21-ე მუხ.). დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობას იწვევს არაერთი საკითხი. გერმანულ სისხლის სამართალში ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი მაშინ, როცა დამნაშავე არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა განსაზღვრული შედეგის მიმართ, თუმცა ჰქონდა სხვა მიზანი, რომელსაც განხორციელებული ქმედებით მიაღწია ისე, რომ არ მოჰყოლია შედეგი, რომლის მიმართაც არაპირდაპირი განზრახვა ჰქონდა. მაგალითი: „ტ“-მ რესტორანში პოკერის თამაშის დროს ფული სრულად დაკარგა. როდესაც „ბ“-მ რესტორანი დატოვა, დაედევნა „ტ“, რომ ფული დაებრუნებინა. როცა „ბ“-მ წინააღმდეგობა გაუწია ფულის დაბრუნებასთან დაკავშირებით, „ტ“-მ თავისი პისტოლეტი მოიმარჯვა და ესროლა „ბ“-ს მკვლელობის არაპირდაპირი განზრახვით, რის შემდგომაც მან შეწყვიტა წინააღმდეგობის განევა. „ტ“-მ აიღო ფული და გაუჩინარდა. ამასთან ერთად, მან ნახა, რომ „ბ“ მხოლოდ დაიჭრა, რომლის გადარჩენაც შესაძლებელია. მან იცის, რომ მას შეეძლო „ბ“ დამატებითი სროლით მოეკლა, მაგრამ ამის ინტერესი არ ჰქონდა, ვინაიდან მან თავისი ფულის დაბრუნების მიზანს მიაღწია<sup>1</sup>.

ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებას დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიაზე, როცა უკვე განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება<sup>2</sup>, აქედან გამომდინარე მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ჩნდება კითხვა და გასარკვევია, ადგილი ხომ არ ჰქონდა აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან იგი ერთ-ერთია პასუხისმგებლობის

<sup>1</sup> Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 7. Auflage, 2022, Rn. 835, S. 360-361.

<sup>2</sup> ადრე სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს გამორიცხება ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულზე ხელის აღების შედეგად განხორციელებული ქმედება კარგავს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. იხ. *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 533; *დვალაძე ი.*, წიგნში: ნაჭყებია გ., დვალაძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 175. აღნიშნული მოსაზრება არ არის გაზიარებული თანამედროვე სისხლის სამართალში და დანაშაულზე

ხელის აღება მიიჩნევა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ პერსონალურ გარემოებად. *Jeschek/Weigend, Lehrbuch des Strafrechts*, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 548, §51 VI 1; *Kühl K.*, *Strafrecht*, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 475, §16 Rn. 8. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხდება სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 253; *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 322; *მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 86.

(მართლწინააღმდეგობის) გამომრიცხავი გარემოებებიდან. თუმცა, იმის დადგენა, შეიძლება თუ არა პასუხისმგებლობის გამორიცხვა აუცილებელი მოგერიების საფუძველზე, მოითხოვს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებას. მაგალითში მოყვანილი გარემოებები მიუთითებს აუცილებელი მოგერიების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობაზე, თუმცა არ იძლევა იმის დამაჯერებლად თქმის საფუძველს ჰქონდა თუ არა ადგილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას, რაც შეუძლებელს გახდიდა პასუხისმგებლობის სრულად გამორიცხვას. აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მნიშვნელობას იძენს სწორედ მართლწინააღმდეგო და არა იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც მართლზომიერების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. როდესაც საქმე ეხება მართლზომიერ ქმედებას, არც განიხილება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი.

თუ მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით გამოირიცხა აუცილებელი მოგერიება და ქმედების გამართლების შესაძლებლობა, ჩნდება კითხვა: არის თუ არა განხორციელებული მკვლელობის მცდელობა და

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას?

მკვლელობის მცდელობის განხორციელებასთან დაკავშირებით ორი მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულ მოსაზრებად ითვლება, მკვლელობის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვით გამოირიცხება, ვინაიდან სახეზე არ არის გამიზნული ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულებრივი შედეგისკენ<sup>3</sup>. მეორე შეხედულების თანახმად, განსახილველ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა სახეზეა, ვინაიდან დანაშაულის მცდელობა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც<sup>4</sup>.

ავტორები, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას უშვებენ, სვამენ კითხვას, განსახილველ შემთხვევაში არის თუ არა სახეზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. აღნიშნული ავტორები მოცემულ შემთხვევაში მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას განხორციელებულად მიიჩნევენ<sup>5</sup> და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას განხორციელებულად თვლიან დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე. აღნიშნული თეორიის წარმომადგენელთა

<sup>3</sup> გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-3 გამოცემა, წიგნში: მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 244-245; *ნერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 350, 488; *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 15; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 71; *მამულაშვილი გ.*, წიგნში: *მამულაშვილი გ.* (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეოთხე გამოცემა, თბ., 2011, გვ. 128-129; *თოდუა ნ.*, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნ. "მართლმსაჯულება და კანონი", 2007, 2/3, გვ. 155; *დვალიძე ი.*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2007, გვ. 169; *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 89; *სულაქველიძე დ.*, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, "სამართალი", 1991, 3-4, გვ. 11; *სურგულაძე ლ.*, წიგნში: *გამყრელიძე ო.* (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 52; *ნაჭყებია გ.*, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 231.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობას გამორიცხავს ასევე ზოგიერთი გერმანელი და შვეიცარიელი მეცნიერიც. იხ. *Streng F.*, Rücktritt und dolus eventualis, JZ, 1990, S. 219; *Kölz-Ott M.*, Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 39, 98; *Stooss C.*, Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), S. 200; *Lampe E.*, Genügt für den Entschluß des Täters in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958, S. 333; *Bauer W.*, Die Abgrenzung des dolus eventualis - ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, S. 171.

<sup>4</sup> *ტურავეა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 298; *ებრაღიძე თ.*, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 106-107; *ხარანაული ლ.*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 150-151; *ჯიშკარიანი ბ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 119; *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 292, Rn. 658; *Jescheck H-H/Weigend T.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 515; *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 353, §29 Rn. 71.

<sup>5</sup> *Kudlich H.*, Grundfälle zum Rücktritt vom Versuch, Jus 1999, S. 353.

თვალსაზრისით, დამთავრებულ მცდელობას<sup>6</sup> ადგილი ექნებოდა მაშინ, თუ დამნაშავე შემდგომ ქმედებასაც განახორციელებდა<sup>7</sup>.

თუმცა, არაპირდაპირი განზრახვის მომხრე ავტორთა ერთ ნაწილს საკამათოდ მიაჩნია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი, ვინაიდან ბოროტმოქმედი მკვლელობასთან დაკავშირებით მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა და მან თავის მიზანს მიაღწია, რის გამოც დამატებითი მოქმედების განხორციელება დანაშაულებრივი გეგმის განსახორციელებლად არ სჭირდებოდა. შესაბამისად, საკითხავია, რამდენად ლოგიკურია ვისაუბროთ იმაზე, მას კიდევ ჰქონდა თუ არა დანაშაულებრივი ქმედების „შენწყვეტის შესაძლებლობა“<sup>8</sup>.

ნებაყოფლობით ხელის აღებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ბოროტმოქმედს შეუძლია დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე მიიყვანოს, მაგრამ ამის მიუხედავად წყვეტს მას. თუ დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა მოქმედ პირს წართმეული ჰქონდა, ნებაყოფლობით ხელის აღება გამოირიცხება (მაგალითად, იმის გამო, რომ პოლიციელმა დააკავა). ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი ასევე პრობლემურია მაშინ, როცა დამნაშავეს დანაშაულებრივი ქმედება ბოლომდე არ მიჰყავს იმის გამო, რომ ძირითად მიზანს მცდელობის შედეგად მიაღწია. ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ თავი შეიკავა იმ დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე განხორციელებისგან, რომელიც დაიწყო. არაპირდაპირი განზრახვის დროს შედეგი, რომლის მიმართაც პირი არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს, არ წარმოადგენს გამიზნულ შედეგს, რომლის მისაღწევადაც დაიწყო დანაშაულებრივი ქმედება. შედეგი, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას მოსდევს, არის თანამდევი შედეგი, რომლის გამოწვევისკენაც არ არის მოქმედი პირის ძალისხმევა მიმართული. არაპირდაპირი

განზრახვის დროს შედეგი, რომლის დადგომასაც ბოროტმოქმედი უშვებს, არ არის ის შედეგი, რომლის განხორციელებასაც დამნაშავე ისურვებდა, არამედ საქმე ეხება შედეგს, რომელსაც ბოროტმოქმედი ურიგდება. შესაბამისად, რამდენად ლოგიკურია დავსვათ კითხვა, რატომ არ მიიყვანა ბოროტმოქმედმა ის ქმედება ბოლომდე, რომელიც გამოიწვევდა მისთვის არასასურველ შედეგს?

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზანი არის ის, რომ დამნაშავეს ჰქონდეს სტიმული უარი თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით კანონმდებელი ცდილობს ბოროტმოქმედზე მოახდინოს ფსიქოლოგიური ზეგავლენა. ისევე როგორც სასჯელის ინსტიტუტის მიზანი არის დამნაშავეს (მათ შორის პოტენციურისაც) სურვილის ჩახშობა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანი არის ბოროტმოქმედზე, რომელმაც დაუმთავრებელი დანაშაული უკვე განახორციელა, ზემოქმედების მოხდენა არა დასჯით, არამედ ნახალისებით და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებით. არაპირდაპირი განზრახვის დროს ბოროტმოქმედზე ასეთი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, ბოროტმოქმედისთვის ისედაც არასასურველია შედეგი, რომლის მიმართაც ქმედება არაპირდაპირი განზრახვით განხორციელდა. შესაბამისად, თუ ქმედებას არასასურველი შედეგი არ მოჰყვა, ნაკლებად არსებობს იმის მოლოდინი, რომ არასასურველი შედეგის გამოსაწვევად დამატებით ქმედებას განხორციელებს. ამის მოლოდინი მაშინ იარსებებდა, თუ არ იქნებოდა მიღწეული მიზანი, რომლის მისაღწევადაც განხორციელდა ქმედება, რომელმაც შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა შექმნა ან თუ დამნაშავე განახორციელებდა დამატებით ქმედებას უკვე განხორციელებული დანაშაულის დასაფარად.

<sup>6</sup> დაუმთავრებელი მცდელობის გამიჯვნა დამთავრებული მცდელობისგან იმით ხდება, რომ დაუმთავრებელი მცდელობის დროს დამნაშავეს ყველაფერი არ აქვს გაკეთებული დანაშაულებრივი შედეგის გამოსაწვევად, სახეზეა გარკვეული ქმედება, რომელიც ობიექტურად შეიცავდა შედეგის გამოწვევის განსაზღვრულ შესაძლებლობას, მაგრამ აღსანიშნავია

ის, რომ დანაშაულის მცდელობაზე საუბარი შეუძლებელია მხოლოდ ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით. საკმარისი არ არის მხოლოდ იმის გათვალისწინება, რომ განხორციელებული ქმედება შედეგის გამოწვევის საფრთხეს ქმნიდა.

<sup>7</sup> Bock D., Versuch und Rücktritt, Jus 2006, S. 606.

<sup>8</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2022, Rn. 835, S. 360-361.

ერთ-ერთი თეორიის (ruecktrittsfreundlichen Theorie) მიხედვით, (რომლის წარმომადგენლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას აღიარებენ), ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღება დასაშვებია, თუ დამნაშავეს ბოლო ქმედების შემდეგ შეეძლო ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის განხორციელება. აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას განხორციელებულად მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედს სხვა მიზანი ჰქონდა, რომელსაც მიაღწია და მსხვერპლის მკვლელობასთან დაკავშირებით ინტერესი არ ჰქონდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით საჭიროა მხოლოდ ის, რომ დამნაშავემ შემდგომი დანაშაულებრივი ქმედება არ განახორციელოს. დანაშაულზე ხელის აღებისთვის საკმარისია, რომ ბოროტმოქმედმა ნებაყოფლობით თავი შეიკავოს მსხვერპლის სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი მომდევნო ქმედების განხორციელებისგან, რომლის განხორციელებასაც იგი შესაძლებლად მიიჩნევდა<sup>9</sup>. აღნიშნული შეხედულების წარმომადგენლები თვლიან, რომ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა და იმის თქმა, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს შეიძლება, იქნებოდა სისტემური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი და იმ დამნაშავეს პრივილეგირება, რომელიც გამიზნულად მოქმედებს<sup>10</sup>.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თუ ევენტუალური განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს გამოვრიცხავდით დანაშაულზე

ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, დამნაშავეს ვუბიძგებდით იმისკენ, რომ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად ბოლომდე დაასრულოს თავდაპირველი მკვლელობის განზრახვა<sup>11</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან როცა ბოროტმოქმედი მსხვერპლს ჯანმრთელობას უზიანებს ჭკუის სასწავლებლად და უშვებს არასასურველი სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მას გადანწყვეტილება მიღებული აქვს არა მკვლელობასთან, არამედ ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით. დამნაშავე იმიტომ არ აგრძელებს ქმედებას სასიკვდილო შედეგის გამოსაწვევად, რომ არც ჰქონდა გადანწყვეტილი მკვლელობის განხორციელება. იმისთვის რომ გააგრძელოს ქმედება სასიკვდილო შედეგის გამოსაწვევად, უნდა იქნას მიღებული ახალი გადაწყვეტილება. უკვე ჩადენილი დანაშაულის დასაფარად მკვლელობის განხორციელება გულისხმობს ახალი გადაწყვეტილების მიღებას<sup>12</sup>. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ბოროტმოქმედი დაისჯება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, ხოლო მკვლელობის მცდელობისთვის არ აგებს პასუხს, არა ნებაყოფლობით მკვლელობაზე ხელის აღებასთან დაკავშირებით, არამედ მკვლელობის მცდელობის განუხორციელებლობის გამო.

მიზნის მიღწევის თეორია (Zweckrichtungstheorie) აღნიშნულ შემთხვევაში გამორიცხავს ნებაყოფლობით ხელის აღებას, ვინაიდან დამნაშავემ თავის მიზანს მიაღწია, შესაბამისად, შეუძლებელია ვისაუბროთ მასთან მიმართებით სასჯელისაგან გამათავისუფლებელ უკან დახევაზე, რამეთუ შემდგომმა მოქმედებამ დანაშაულებრივი გეგმიდან გამომდინარე დაკარგა აზრი. მან მიაღწია იმას, რაც სურდა. შესაბამისად, შეუძლებელია ვისაუბროთ ბოროტმოქმედის მხრიდან დანაშაულის

<sup>9</sup> Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat und ihre Aufbau, 51. Auflage, 2021, Rn. 1047; Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §24 Rn. 9b. არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული დანაშაულის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების იდეამ ქართულ სისხლის სამართალშიც ჰპოვა მხარდაჭერა ავტორთა ერთი ნაწილის მხრიდან. იხ. ბარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 331.

<sup>10</sup> Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 11. Auflage, 2019, §37 Rn. 62; Wessels/Beulke/Satzger, ebenda.

<sup>11</sup> დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბ., 2015, გვ. 241-242.

<sup>12</sup> თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება არ არსებობდეს ქმედების დანაშაულთა ერთობლიობის ნესით კვალიფიკაციის საჭიროება იმ შემთხვევის მსგავსად, როცა ქურდობის მიზნით დაწყებული ქმედების ძარცვაში ან ყაჩაღობაში გადაზრდისას გამოირიცხება ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის ნესით და ქმედება კვალიფიცირდება საბოლოო, უფრო მძიმე დანაშაულად.

შენწყვეტაზე<sup>13</sup>. შემდგომი მოქმედებისთვის საჭიროა ახალი გადანწყვეტილება. მაშასადამე, როდესაც ბოროტმოქმედს სურს არა მკვლელობა, არამედ ფულის დაუფლება, აზრს კარგავს იმაზე ფიქრი, დამნაშავეს შეეძლო თუ არა მკვლელობის განხორციელება და რა სახით იყო ეს შესაძლებელი. თუმცა, განსაზღვრული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმას, ბოროტმოქმედს ფულის დასაუფლებლად მოქმედების დროს მკვლელობასთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვა ჰქონდა თუ არაპირდაპირი<sup>14</sup>.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა გამოირიცხოს, მაგრამ დანაშაულის მცდელობის არარსებობის გამო და არა იმ არგუმენტაციით, რომ მიუხედავად დანაშაულის მცდელობისა, ქმედება ვერ აკმაყოფილებს ხელის აღების კრიტერიუმს. ის არგუმენტაცია რაც მიზნის მიღწევის თეორიის წარმომადგენელთა მიერ მოხმობილია განსახილველ მაგალითში ნებაყოფლობით ხელის აღების გამოსარიცხად, შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული იმის დასასაბუთებლად და საჩვენებლად, თუ რატომ უნდა გამოირიცხოს არა მხოლოდ ხელის აღება, არამედ თვით მკვლელობის მცდელობა.

ი. პუპე საკითხის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ერთი მხრივ, იმაზე, რომ ბოროტმოქმედს უკვე მიღწეული აქვს ის მიზანი, რომელიც იყო მისი მამოტივირებელი<sup>15</sup>, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამს მსხვერპლის დაცვის საკითხს და აღნიშნავს, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს, როდესაც დამნაშავე მიზანს აღწევს იმ შედეგის დადგომამდე, რომელთან დაკავშირებითაც არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, აღნიშნული შედეგის განხორციელებისთვის შემდგომი მოქმედების განუხორციელებლობა მსხვერპლის დაცვის თვალსაზრისით დანაშაულზე ხელის აღებისთვის ვარგის ქმედებას არ წარმოადგენს<sup>16</sup>.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის მეშვეობით სახელმწიფოს სურს დაიცვას მსხვერპლი და შეუქმნას დამნაშავეს მოტივი დანაშაულზე ხელის აღებისთვის.

თუმცა, განსახილველ შემთხვევაში მსხვერპლთან მიმართებით დამნაშავეს ისედაც უკვე განხორციელებული აქვს ის, რაც გამიზნული ჰქონდა, შესაბამისად, არ არსებობს იმის საჭიროება, რომ სახელმწიფომ მსხვერპლის დასაცავად განსაკუთრებულ ზომებს მიმართოს დამნაშავეს შესაჩერებლად და მსხვერპლის დასაცავად. აღნიშნულ შემთხვევაში იმის თქმა, რომ სახელმწიფომ მისცეს დამნაშავეს მკვლელობაზე ხელის აღების შესაძლებლობა, იგივე იქნებოდა, ბოროტმოქმედს, რომელმაც თავის მიზანს მიაღწია და მკვლელობას არ აპირებს, სახელმწიფომ თხოვოს/მოსთხოვოს, თავი შეიკავოს მკვლელობის განხორციელებისგან.

ავტორები, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას დასაშვებად თვლიან, განსახილველ შემთხვევაში სწორედ მსხვერპლის დაცვის პოზიციიდანაც ამართლებენ ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ ქმედებაში დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის დაშვებას და მიუთითებენ, რომ თუ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება ეს მას მისცემს მოტივაციას არ განახორციელოს დამატებითი მოქმედება, რომელიც დამატებით ზიანს მიაყენებს მსხვერპლს<sup>17</sup>.

თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების გამოირიცხვის მიუხედავად, მაინც შეიძლება ჰქონდეს ბოროტმოქმედს მომდევნო დანაშაულებრივი ქმედებისგან თავის შეკავების და შედეგის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მოტივაცია, ვინაიდან განუხორციელებელ შედეგთან მიმართებით პასუხისმგებლობა მაინც შეიძლება გამოირიცხოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებას ჰქონდა ადგილი, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნული ქმედება მცდელობად არ დაკვალიფიცირდება. ხოლო იქ, სადაც დაუმთავრებელი დანაშაული არ განხორციელებულა, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხიც არ განიხილება. აქვე კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საკითხის ასეთი გადანწყვეტა გულისხმობს პასუხისმგებლობის

<sup>13</sup> Puppe I., Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2019, §21 Rn. 12.

<sup>14</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2022, Rn. 837, S. 361-362.

<sup>15</sup> Puppe I., Anmerkung, Juristen Zeitung 1993, S. 361.

<sup>16</sup> Puppe I., Strafrecht, Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2019, §21 Rn. 14.

<sup>17</sup> Kudlich H., Grundfälle zum Rücktritt vom Versuch, Jus 1999, S. 354.

არა საერთოდ გამორიცხვას, არამედ მკვლევლობის მცდელობისთვის დასჯადობის უარყოფას.

საყურადღებოა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს მიზნის მიღწევისას შეიძლება ითქვას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ყოველთვის კი არ არის სახეზე, არამედ ის, რომ ამის შესაძლებლობა იმთავითვე არ არის გამორიცხული<sup>18</sup>.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში შემდეგი მაგალითია მოხმობილი: „ა“ და „ბ“ სუპერმარკეტს თავს დაესხნენ და ღირებულ საგნებს, ისევე როგორც სალაროში არსებულ ფულს, დაეუფლნენ. მათ შემთხვევის ადგილი დატოვეს ავტომანქანით. სუპერმარკეტის თანამშრომელი „პ“ თავისი მანქანით მათ დაედევნა. როდესაც ისინი შემთხვევის ადგილს ცოტათი დაშორდნენ „ბ“-მ „პ“-ს სამჯერ ესროლა შეთანხმებისამებრ არაპირდაპირი განზრახვით. მესამედ ნასროლი ტყვია მოხვდა „პ“-ს მანქანის საქარე მინას, რის შემდეგაც მან დევნა შეწყვიტა. როცა „ბ“-მ დაინახა, რომ მან „პ“ შეაშინა, თავი შეიკავა მომდევნო სროლის განხორციელებისგან, მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი სროლის განხორციელება შესაძლებელი იყო. „ა“-ს და „ბ“-ს უპრობლემოდ შეეძლოთ გამიზნული სროლით „პ“-ს მოკლა. ვინაიდან „ა“-ს და „ბ“-ს სხვა მიზანი ჰქონდათ, მომდევნო, დამატებითი ქმედება არ განახორციელეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მიზნის მიღწევის თეორიის წარმომადგენლები ნაკლებ საფუძველს ხედავენ ისაუბრონ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე. რაც მეტად საყურადღებოა, აღნიშნულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღებას გერმანიის უზენაესი სასამართლოც გამორიცხავს<sup>19</sup>.

როდესაც შედეგთან მიმართებით ქმედება არაპირდაპირი განზრახვით ხორციელდება და ბოროტმოქმედი მიზანს არასასრუველი თანამდევნი შედეგის დადგომამდე აღწევს, ერთი მხრივ, არ არსებობს იმთავითვე იმის მტკიცების საფუძველი, რომ დანაშაულზე ხელის აღებას

ჰქონდა ადგილი, ხოლო მეორე მხრივ, ყოველთვის არ გამოირიცხება ხელის აღება მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედის მიერ შედეგისკენ მიმართული ახალი ქმედება იქნება განხორციელებული და შემდგომ შედეგის განხორციელება ისევ თავიდან არის აცილებული.

არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედების დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში ასევე განიხილება ე. წ. ჭკუის სასწავლებლად განხორციელებული ქმედების შემთხვევა. მაგალითად: „ა“ შიშობს, რომ თავის წრეში დომინანტურ როლს დაკარგავს, ვინაიდან მისი რანგი მის მეტოქე „ბ“-ს ეჩოთიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე „ა“-მ ერთ საღამოს „ბ“ დანით დაჭრა, იმისთვის, რომ შეეშინებინა და ჭკუა ესწავლებინა. მოცემულ შემთხვევაში ის მოქმედებდა მკვლევლობის არაპირდაპირი განზრახვით. მისი მეგობრის მოწონებით მან დანა კვლავ გამოიყენა, „ბ“-ს გადააფურთხა და წავიდა. ამასთან ერთად, მან ნახა, რომ ჭკუა დანით დაჭრის შედეგად მძიმედ არ იყო დაზიანებული. შესაძლებელი იყო ჭრილობის კიდევ მიყენება, თუმცა მას ეს არ სჭირდებოდა, ვინაიდან თავის ძირითად მიზანს მიაღწია<sup>20</sup>. გერმანული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღებისკენ იხრება, რაც გაზიარებულია ავტორთა ერთი ნაწილის მხრიდანაც<sup>21</sup>. თუმცა, აღნიშნული შეხედულება ბ. ჰაინრიხს, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, არ მიაჩნია გასაზიარებლად<sup>22</sup>.

ის რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ შემთხვევაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისკენ იხრება, შეიძლება აიხსნას იმით, რომ როგორც ჩანს, პრობლემურად მიაჩნია მცდელობისთვის დასჯა, როცა განუხორციელებელი შედეგის მიმართ ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული. აქედან გამომდინარე, მცდელობისთვის დამნაშავის დასჯის თავიდან აცილება შესაძლებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთებით.

<sup>18</sup> Kudlich H., Grundfälle zum Rücktritt vom Versuch, Jus 1999, S. 355.

<sup>19</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2022, Rn. 838, S. 362.

<sup>20</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2022, Rn. 839, S. 363.

<sup>21</sup> Heger M., Petzsche A., in: Matt/Renzikowski, Kommentar, StGB, 2. Auflage, 2020, §24 Rn. 42.

<sup>22</sup> Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2022, Rn. 839, S. 363.

როგორც გერმანული სასამართლო პრაქტიკა, ისე მიზნის დასახვის თეორიის წარმომადგენელთა მიდგომა ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საყურადღებოა. გერმანული სასამართლო პრაქტიკის ტენდენცია იმით არის საყურადღებო, რომ ერთი მხრივ, უშვებს მცდელობას არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავს პასუხისმგებლობას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო იმ არგუმენტით, რომ დამნაშავემ შედეგის განსახორციელებლად მომდევნო ქმედება არ განახორციელა. ხოლო მიზნის მიღწევის თეორია ნებაყოფლობით ხელის აღების გამოსარიცხად იშველიებს იმ არგუმენტებს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მცდელობის გამორიცხვას.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, თუ დამნაშავეს განზრახვა არ იყო მიმართული მიზნის მიღწევისკენ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გადაწყვეტილება ცერ იქნებოდა მიღებული და ამიტომ დანაშაულზე ხელის აღება გამოირიცხება. როდესაც დამნაშავე შემდგომი ქმედების განხორციელებას აზრსმოკლებულად მიიჩნევს, სახეზე არ არის დანაშაულზე ხელის აღება. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დანაშაულის განზრახვა და ქმედების შეწყვეტისთვის დამახასიათებელი ფინალური ელემენტი მიზნის სახით<sup>23</sup>. მაშასადამე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის საკმარისი არ არის უბრალოდ შემდგომი ქმედების განუხორციელებლობა<sup>24</sup>.

თუ დამნაშავეს არ ჰქონდა მიზნად დასახული დანაშაულის განხორციელება, აღნიშნული დანაშაულისგან ხელს ვერ აიღებდა<sup>25</sup>. მაშასადამე, დანაშაულზე ხელის აღების საკითხი უნდა დაისვას მაშინ, როცა საქმე ეხება დანაშაულის ჩადენისკენ გამიზნულ ქმედებას და შემდგომ მის ბოლომდე განუხორციელებლობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტა გულისხმობს დანაშაულის ბოლომდე განხორ-

ციელების გადაწყვეტილების შეცვლას საპირისპირო გადაწყვეტილებით, რომელიც დანაშაულის განუხორციელებლობას უკავშირდება. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დამნაშავეს დანაშაულის განხორციელების განზრახვა ჰქონდა მანამ, სანამ საპირისპირო გადაწყვეტილებას მიიღებდა. მაშასადამე, აქ საუბარია ორ ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებაზე, რომელიც დროის განსაზღვრული მონაკვეთით არის ერთმანეთისგან გამიჯნული. აქედან გამომდინარე, ავტორთა ერთი ნაწილი გამორიცხავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არაპირდაპირი განზრახვის დროს<sup>26</sup>.

მოცემული მსჯელობა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის მიზნის და გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე მიუთითებს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას წინ უსწრებს გადაწყვეტილება ხელის აღებასთან დაკავშირებით. თუმცა, გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ ხელის აღებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მცდელობისა და მომზადებისთვისაც, რომელ ეტაპზედაც ხელის აღებას აქვს ადგილი. მიზანი, მიზანდასახული ქმედება ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისთვის<sup>27</sup>. იქ, სადაც დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება არ არის მიღებული, შეუძლებელია ვისაუბროთ დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ზემოთ განხილულ მსხვერპლისთვის ჭკუის სწავლების მიზნით განხორციელებული ქმედების დროს, როდესაც არ ხორციელდება არაგამიზნული, თანამდევნი შედეგი, ბოროტმოქმედს თავისი მიზანი მიღწეული აქვს, მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული განზრახვა განხორციელებულია. ხოლო შემდგომი ქმედების განუხორციელებლობისას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შედეგის განხორციელება, რომელიც არ განხორციელდა, სახეზე არ არის დამნაშავეს დაჯილდოვებისთვის საკმარისი საფუძველი<sup>28</sup>.

<sup>23</sup> Kühl K., Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, 2017, §16 Rn. 41; Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §24 Rn. 12.

<sup>24</sup> Kühl K., Schramm E., Der praktische Fall – Strafrecht: Raubüberfall auf einen Tübinger Juwelier, Jus 2003, S. 684.

<sup>25</sup> Puppe I., Anmerkung, Juristen Zeitung 1993, S. 362.

<sup>26</sup> Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 13. Auflage, 2021, §23 Rn. 35.

<sup>27</sup> დანაშაულის მცდელობაზე, როგორც გამიზნულ ქმედებაზე იხ. Alwart H., Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, S. 142-143.

<sup>28</sup> Murmann U., Der fehlgeschlagene Versuch, Jus 2021, S. 392.



თუმცა, შემდგომი ქმედების განუხორციელებლობისთვის დამნაშავეს დაჯილდოების საფუძვლის არარსებობა მოცემულ შემთხვევაში განპირობებულია დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლის არარსებობით.

ი. პუპე მართებულად აღნიშნავს, რომ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში, როდესაც შედეგის განუხორციელებლობისას დამნაშავე არ აგრძელებს დანაშაულებრივ ქმედებას, ერთი მხრივ, სახეზე არ არის ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის არის დამახასიათებელი და გარდა ამისა, ბოროტმოქმედი შემდგომი მოქმედების განუხორციელებლობით არ უბრუნდება სამართლებრივ კეთილსინდისიერებას. ნებაყოფლობით ხელის აღების ასეთ განვრცობა კი კანონის განმარტებიდან არ გამომდინარეობს<sup>29</sup>.

წინამდებარე წერილში წარმოდგენილი მსჯელობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით, საყურადღებოა დანაშაულის მომზადების და მცდელობის სუბიექტური მხარის დასაბუთებისთვისაც.

როდესაც ვსაუბრობთ გადანყვეტილების მიღებაზე და მის მნიშვნელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან თუ თვით დანაშაულის მომზადებასა და მცდელობასთან დაკავშირებით, ჩნდება კითხვა, არის თუ არა გადანყვეტილების მიღება შესაძლებელი არაპირდაპირი განზრახვით?

ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე მოსაზრება ორად იყოფა: თუ ავტორთა ერთი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს გადანყვეტილების მიღებას არაპირდაპირი განზრახვით<sup>30</sup>, მეორე მოსაზრებით, გადანყვეტილების მიღება გამიზნული და პირდაპირი განზრახვით მოქმედების დროსაა შესაძლებელი<sup>31</sup>, ვინაიდან გადანყვეტილების მიღებისას მოქმედი პირი დარწმუნებულია, რომ ის ქმედება უნდა განხორციელდეს, რომელსაც ჩადის. გამიზნული

ქმედება, როგორც წესი<sup>32</sup>, მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი.

მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამიზნვა, შესაბამისად, განზრახვის ის სახე, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს გამიზნული ქმედება დანაშაულის ბუნების და ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის აღწერილობის გათვალისწინებით. დანაშაულის მცდელობა და გადანყვეტილების მიღება ასევე არ უნდა გამოირიცხოს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც, როცა მოქმედ პირს არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული სურვილი, მაგრამ დარწმუნებულია შედეგის გარდაუვალობაში. მოცემულ შემთხვევაში შედეგთან მიმართებით მიზნის და მკვეთრად გამოხატული სურვილის არარსებობის კომპენსირებას ახდენს შედეგის გარდაუვალობის გაცნობიერება.

### III. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც განხორციელებულია შესაბამისი დანაშაულის ჩადენისკენ მიმართული გამიზნული ქმედება ან დარწმუნებული იყო შედეგის გარდაუვალობაში და შემდგომ ბოროტმოქმედი წყვეტს დანაშაულებრივ ქმედებას დანაშაულის დასრულებამდე იმ მიზნით, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნას მიყვანილი. თუ ბოროტმოქმედი მოქმედებდა კონკრეტული მიზნის მისაღწევად ან დარწმუნებული იყო მის გარდაუვალობაში, ამ დროს უშვებდა არასასურველი სხვა შედეგის დადგომას და განხორციელებულ ქმედებას დასახელებული შედეგი არ მოჰყვა, არასასურველი შედეგის მიმართ შეუძლებელია ვისაუბროთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე შესაბამისი სუბიექტური წინაპირობების არარსებობის გამო. შედეგი, რომელთან მიმართებითაც ბოროტმოქმედი არაპირდაპირი განზრახვით

<sup>29</sup> Puppe I., Anmerkung, Juristen Zeitung 1993, S. 363.

<sup>30</sup> Kudlich H., Grundfälle zum Rücktritt vom Versuch, Jus 1999, S. 353.

<sup>31</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 383; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 238 და მომდევნო.

<sup>32</sup> თუმცა, არსებობს გამიზნულად დანაშაულის ჩადენის გამონაკლისი შემთხვევები, სადაც გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას უშვებენ. მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში. იხ. Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, Stuttgart 2019, S. 25, Rn. 60.

მოქმედებდა, არ დადგა არა იმიტომ, რომ ბოროტმოქმდმა დანაშაულზე ხელი აიღო, არამედ იმის გამო, რომ მის განხორციელებასთან დაკავშირებით დამნაშავეს გადანყვეტილება არც

ჰქონდა მიღებული. ხოლო იქ, სადაც დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილება არ იყო მიღებული და დანაშაულის მცდელობა არ განხორციელებულა, ვერც დანაშაულზე ხელის აღებას ექნებოდა ადგილი.